სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/178

ქ. თბილისი

8 დეკემბერი 2022 წ.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ახალი ემბლემის და დროშის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „შ" ქვეპუნქტის, საქართველოს პარლამენტთან არსებულ ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს 2022 წლის 01 ნოემბრის №190 და 2022 წლის 02 დეკემბრის №218 წერილებისა და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 8 დეკემბრის №01-05-02/36 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოწონებული იქნეს უნივერსიტეტის ახალი ემბლემის ნიმუში და აღწერილობა(დანართი 1).
2. მოწონებული იქნეს უნივერსიტეტის ახალი დროშის ნიმუში და აღწერილობა (დანართი 2).

3. უნივერსიტეტის ახალი ემბლემისა და დროშის ნიმუშები დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**